ბრძანება:**ბ126.126222702**
თარიღი:**27/09/2022**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების

ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 54-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე, 53-ე და 54-ე ე მ უხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების თანახმად და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემისათვის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის სხდომის 2022 წლის 21 სექტემბრის N 5 ოქმის საფუძველზე.

ვბრძანებ:

I გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით:

1. ქ. ჯვარი ლემონჯავას ქუჩაზე მდებარე 209 $მ^2$ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.14.35.397-- საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 4200ლარი

ა) ,,ბე''-ს საფასური განისაზღვროს ---450 ლარი.

ბ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 50 ლარი.

2. ქ. ჯვარი ლემონჯავას ქუჩაზე მდებარე 225 $მ^2$ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.14.35.211-- საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 4700 ლარი

ა) ,,ბე''-ს საფასური განისაზღვროს ---500 ლარი.

ბ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 50 ლარი.

3. ქ. ჯვარი ლემონჯავას ქუჩაზე მდებარე 280 $მ^2$ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.14.35.384 -- საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 5600 ლარი

ა) ,,ბე''-ს საფასური განისაზღვროს ---600 ლარი.

ბ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 50 ლარი.

II გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში იჯარის ფორმით გაცემის მიზნით:

1 . ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 15047 $მ^2$ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N47.01.32.051)--საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს --- 1200 ლარი.

ა) ,,ბე“-ს საფასური განისაზღვროს 150 ლარი.

ბ) სავაჭრო ბიჯის საფასური განისაზღვროს 50 ლარი.

2. ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 22238 $მ^2$ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N47.01.32.050)--საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს --- 1800 ლარი.

ა) ,,ბე“-ს საფასური განისაზღვროს 200 ლარი.

ბ) სავაჭრო ბიჯის საფასური განისაზღვროს 50 ლარი.

III. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს ვებგვერდზე www.eauction.ge.-ზე გამოცხადების მომენტიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით, ხოლო არა სამუშაო დღის დამთხვევისას, აუქციონი ჩატარდეს მიმდინარე პირველივე სამუშაო დღეს.

IV. დაევალოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს თეიმურაზ მებონიას უზრუნველყოს საუქციონო განცხადების www.eauction.ge.-ზე განთავსება.

V. ელექტრონულ აუქციონის ფორმით, ქონების პრივატიზებისას „ბე“-ს საფასურის გადახდა განხორციელდეს საბანკო ანგარიშზე N200122900, ბანკის კოდი TRESGE22 ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში: (მოძრავი ქონებაზე - N300393332; უძრავ ქონებაზე- N300393313; არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - N300393390) სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში: მოძრავ ქონებაზე--N300393224; უძრავ ქონებაზე--N300393212; მიწაზე-- N300393047.

VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

VII. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.(მისქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა12).

გიორგი ხარჩილავა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.# 5. ტელ: 599647050
5200 K.SALIA ST. #5. TSALENJIKHA,GEORGIA TEL: 599647050
WWW. TSALENJIKHA.GOV.GE E-MAIL. TSALENJIKHAMERIA@TSALENJIKHA.GOV.GE